


ხაშურის მთაწმვე



№44-45-46 (75-76-77)

17 ნოემბერი, ხუთშაბათი, 2016 წელი

საჯაროობა დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა ნებისმიერ დოკუმენტს _ იქნება ეს დადგენილება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. ამ დღეებში მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა დაამთავრა მუშაობა 2017 წლის რაიონის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე და დღეს ჩვენი მკითხველი და ფართო საზოგადოება თვითონ გაეცნობა მის პროექტს. დღეიდან ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა გამოთქვას თავისი შენიშვნები თუ წინადადებები რაიონის ბიუჯეტის შესახებ. ნებისმიერი შენიშვნა და წინადადება კი მათ უნდა მიაწოდონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 ნოემბრის ჩათვლით.

განმარტებითი ბარათი ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 10 575,8 ათასი ლარის ოდენობით, რაც 748,5 ათასი ლარით აღემატება 2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 10 575,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გადასახადები (საშემოსავლო და ქონების გადასახადი) დაგეგმილია 2 700,0 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი - 5 542,7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 229,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები -1 984,4 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივატიზაციიდან) - 120,0 ათასი ლარი, აღნიშნული შემოსულობები დაგეგმილია 2016 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 4 ოქტომბრის №04-03/98558 წერილის შესაბამისად.

2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა) განსაზღვრულია 10 575,8 ლარის ოდენობით.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- შრომის ანაზღაურება - 1 834,6 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 874,4 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 5 091,5 ათასი ლარი;
- გრანტი - 88,0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 799,5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 522,2 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 1 364,0 ათასი ლარი;
- ხოლო ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების მიხედვით ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა დაჯგუფდა შემდეგი სახით და ოდენობით:
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2 304,8 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 134,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 684,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 1 316,0 ათასი ლარი;
- საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1 258,9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 95,0 ათასი ლარი;
- სპორტი, კულტურა და რელიგია - 2 232,6 ათასი ლარი;
- განათლება - 1 553,2 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 995,7 ათასი ლარი;

2016 წელთან შედარებით, შემცირებულია ეკონომიკური საქმიანობის, გარემოს დაცვის და საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯები, შემცირება კი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჯერ არ განხორციელებულა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ თანხის განსაზღვრა.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები კი შემდეგი სახითაა განსაზღვრული:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 300,0 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქუჩების განათების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 300,0 ათასი ლარი, ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დავა-დასუფთავების, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდის, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავების, ხაშურის, დაბა სურამის და სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 866,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 16,8 ათასი ლარი, აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“. ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია - 60,0 ათასი ლარი, უმეტესად უზრუნველყოფს დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 85,0 ათასი ლარი, გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 250,0 ათასი ლარი,

გაზრდილია ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება, პროგრამა ვრცელდება 13 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1670 აღსაზრდელი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (სცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშეთი, ტეხერი, ბიჯნისი, ჩუმათელეთი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის აღტერნატიული სადამზრდელი ჯგუფების ფუნქციონირება. აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 479,0 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელმწიფო საგანმანათ-

ლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 202,8 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამა მოიცავს ხაშურის, სურამის და ქვიშეთის სამუსიკო სკოლების დაფინანსებას, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 464 მოსწავლეს, გათვალისწინებულია აგრეთვე სამივე სამუსიკო სკოლის გათბობის ხარჯის დაფინანსება, ასევე ხაშურის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა და სიმებიანი კვარტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელთა დაფინანსებაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამიდან .

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, 321,1 ათასი ლარით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი. 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სპორტული ღონისძიებების პროგრამა - 231,0 ათასი ლარით;
- კულტურული ღონისძიებების პროგრამა - 153,8 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა - 22,0 ათასი ლარით;
- შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 74,2 ათასი ლარით;
- მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 182,5 ათასი ლარით;
- ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 155,6 ათასი ლარით;
- ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 216,0 ათასი ლარით;
- საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - 48,8 ათასი ლარით;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა ფინანსდება 50,0 ათასი ლარით;

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან 2017 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 134,0 ათასი ლარით და ჯანდაცვის პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება 95,0 ათასი ლარით.

2017 წლის ბიუჯეტით გაზრდილია აგრეთვე სოციალური პროგრამების დაფინანსება, რისთვისაც გათვალისწინებულია 997,7 ათასი ლარი, კერძოდ:

უმწვეთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა დაფინანსდება 135,0 ათასი ლარით;

ასი და მეტი წლის უზუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 2,0 ათასი ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 37,7 ათასი ლარით;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სსონის უკვდავყოფის ხარჯები - 30,0 ათასი ლარით;

საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა ყოფა-ცხოვრების პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებები 30,0 ათასი ლარით;

სახელმწიფო სკოლების მოსწავლეების უფასო მომსახურების პროგრამა - 23,0 ათასი ლარით; პროგრამა ვრცელდება სახელმწიფო სკოლების (ხაშური, სურამი, ქვიშეთი) 190 მოსწავლეზე, ერთ მოსწავლეზე ყოველთვიურად გათვალისწინებულია 12 ლარი, კონტიგენტი მოიცავს ლტოლვილებს და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მოსწავლეებს;

სარიტუალო მომსახურების პროგრამა 10,0 ათასი ლარით;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა 20,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით გათვალისწინებულია 708,0 ათასი ლარი;

2017 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აგრეთვე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, კერძოდ: დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება - 204,0 ათასი ლარით, ხაშურში, თუმანიშვილის ქუჩის მოასფალტება - 120,0 ათასი ლარით, ხაშურში, ქიმერიძეების უბანში, საკანალიზაციო ქსელის მოწყობა - 200,0 ათასი ლარით, ხაშურში, თველორე მღვდლის ქუჩაზე მინისტადიონის მოწყობა - 65,0 ათასი ლარით, ხაშურში, შინდარის დასახლებაში, მინისტადიონის მოწყობა - 65,0 ათასი ლარით, ხაშურში, თავდადებულის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა - 65,0 ათასი ლარით, ხაშურში, 9 აპრილის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა - 65,0 ათასი ლარით, დაბა სურამში, წმ.მარიაშვილის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია - 30,0 ათასი ლარით, ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია - 147,1 ათასი ლარით,

ამრიგად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში არსებულმა რესურსებმა მოგვცა წარმოდგენილი პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობა.

მარინა გელაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
14,011,2016

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 316.0	14 705.4	4231.4	10 473.9	10 455.8	0,0	10 455.8
გადასახადები	1 554.3	3 247.2	0,0	3 247.2	2 700.0	0,0	2 700.0
გრანტები	10 465.6	9 447.1	4 231.4	5 215.7	5 771.7	0,0	5 771.7
სხვა შემოსავლები	2 296.1	2 011.0	0,0	2 011.0	1 984.1	0,0	1 984.1
ხარჯები	8 699.8	9 417.7	283.1	9 134.6	9 210.2	0,0	9 210.2
შრომის ანაზღაურება	1 621.1	1 834.6	0,0	1 834.6	1 834.6	0,0	1 834.6
საქონელი და მომსახურება	1 032.6	1 082.7	0.0	1 082.7	874.4	0,0	874.4
სუბსიდიები	3 946.9	4 702.7	0,0	4 702.7	5 091.5	0,0	5 091.5
გრანტები	510.6	91.7	0,0	91.7	88.0	0,0	88.0
სოციალური უზრუნველყოფა	769.0	789.6	70.4	719.2	799.5	0,0	799.5
სხვა ხარჯები	819.7	916.5	212.7	703.8	522.2	0,0	522.2
საოპერაციო სალდო	5 616.2	5 287.6	3 948.3	1 339.3	1 245.6	0,0	1 245.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 727.7	8 602.7	4 924.6	3 678.2	1 244.0	0,0	1 244.0
ზრდა	4 898.9	9 991.7	4 924.6	5 067.1	1 364.4	0,0	1 364.4
კლება	171.2	1 389.0	0,0	1 389.0	120.0	0,0	120.0
მთლიანი სალდო	888.5	-3 315.1	-976.3	-2 338.9	1,6	0,0	1,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	885.3	-3 325.1	-982.4	-2 342.8	0.0	0,0	0.0
ზრდა	1 018.4	0,0	0,0	0.0	0.0	0,0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1 018.4	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0.0
კლება	133.0	3 325.1	982.4	2 342.8	0.0	0,0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	133.0	3 325.1	982.4	2 342.8	0.0	0,0	0.0
ვალდებულების ცვლილება	-3.2	-10.0	-6.1	-3.9	-1.6	0,0	-1.60
კლება	3,2	10.0	6,1	3,9	1,6	0,0	1,6
საშინაო	3,2	10.0	6,1	3,9	1,6	0,0	1,6
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5 771.7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გრანტები	10 465.6	9 447.1	5 771.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 465.6	9 447.1	5 771.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6 456.8	5 215.7	5 771.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 246.7	4 986.7	5 542.7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210.1	229	229.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4 008.8	4 231.4	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 083.1	3 126.7	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	855.2	856.8	0,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	70,4	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0,0	247,9	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 984.1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 296,1	2 011,1	1 984.1
შემოსავლები საკუთრებიდან	392,6	400,0	365.0
პროცენტები	108,5	100,0	50.0
დივიდენდები	0,0	0.0	0,0
რენტა	284,1	300,0	315,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	278,8	296,0	310.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5,2	4,0	5,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	436,8	411,0	412.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	436,6	390,0	390,5
სანებართვო მოსაკრებელი	33,6	30,0	30,5
სატენდერო მოსაკრებელი	0,00	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2	0,0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	195,8	160,0	160,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	206,9	200,0	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,2	21,0	21,6
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	0,2	21,0	21,6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 456,5	1 200,0	1 200,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	10,2	0,00	7.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 210.2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	8 699,8	9 417,7	283,1	9 134,6	9 210.2	0,0	9 210.0
შრომის ანაზღაურება	1 621,10	1 834,6	0,0	1 834,6	1 834.6	0,0	1 834.6
საქონელი და მომსახურება	1 032,6	1 082,7	0,0	1 082,7	874.4	0,0	874.4
სუბსიდიები	3 946,9	4 702,7	0,0	4 702,7	5 091,5	0,0	5 091,5
გრანტები	510.6	91.7	0,0	91.7	88.0	0,0	88.0
სოციალური უზრუნველყოფა	769.0	789.6	70.4	719.2	799.5	0,0	799.5
სხვა ხარჯები	819.7	916.5	212.7	703.8	522.2	0,0	522.2

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1 244.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1 364.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	15,8	68.9	0,0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	104.5	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 943.3	7 382.8	1 364.0
განათლება	728.1	1 871.1	0.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	190.4	337.7	0.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	21,3	226.7	0.0
ს უ ლ	4 898.9	9 991.7	1 364.0

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 120,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	171.2	1389.0	120.0
ძირითადი აქტივები	11.4	0,0	0.0
არაწარმოებული აქტივები	159.9	1 389.0	120.0
მიწა	159.9	1 389.0	120.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჯგუფში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 008.9	2 393.0	2 304.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 008.9	2 393.0	2 304.8

70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 008.9	2 363.0	2 274.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	30.0	30
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	3,4	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0,0	0,0
702	თავდაცვა	101.4	238.5	134.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	505.9	0.0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	505.9	0.0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 837.5	4 225.3	684.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	1 937.7	2 766.5	624.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 937.7	2 766.5	624.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	899.8	1 458.8	60,0
705	გარემოს დაცვა	1 138.2	1 672.1	1 316.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	726.0	1 099.1	866.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	88.4	184.7	200.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ზრმოლა	180.6	138.3	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	143.3	250.0	250.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 313.1	2 893.8	1 258.9
7061	ბინათმშენებლობა	402.8	406.7	147.1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	4.0	0,0
7063	წყალმომარაგება	245.9	780.8	36.8
7064	გარე განათება	690.0	644.0	660.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	974.4	1 058.3	415.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	111.2	336.7	95,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111.2	336.7	95,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 661.1	3 327.4	2 232.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	594.7	2 042.7	951.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	984.7	1 210.4	1 209.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	81.7	74.4	72.0
709	განათლება	1 856.0	3 223.7	1 553.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 770.8	3 151.8	1 479.0
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	85.2	72.0	74.2
710	სოციალური დაცვა	1 065.4	1 098.8	995.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2,4	0.0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2,4	0.0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,5	2,0	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	752.1	723.9	768.7
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	115.4	150.1	195,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	194.0	222.8	30.0
	სულ	13 598.7	19 409.4	10 574.2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -1.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 229,0 ათასი ლარი მიიმართოს:
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;
ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 134,0 ათასი ლარი;
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

ა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება. დაგეგმილია აგრეთვე იმ შენობის რეაბილიტაცია, სადაც სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური მდებარეობს.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე ხორციელდება მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია და მოასფალტება, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩის მონაკვეთის და ხაშურში თუშანიშვილის ქუჩის მოასფალტება.

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიტარული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მოწყობიდან გამოსული ელემენტების

ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერგიით უზრუნველყოფას.
ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება.

ბ.გ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ბ.დ. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)
წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაფინანსება.

ბ.ე. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, ხაშურში და დაბა სურამში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა.

ბ.ვ. უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 10)
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაძვინებული დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ტერიტორიიდან მათი იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა.

ბ.ზ. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია.

გ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)
მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნებისა და სასახუნებელი პარკების და სკვერების კეთილმოწყობა, სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები, ასევე დაგეგმილია დღესასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ა. დასახლების გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების დასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გაწვრთვა-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეჭვას განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასახვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ბ. სპორტული მოედნების და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

გ.გ. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.

გ.დ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია.

გ.ე. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 13 საბავშვო ბაღი, რომლებშიც სკოლამდელ განათლებას იღებს 1670 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშეთი, ტეხერი, ბიჯნისი, ჩუმათელეთი, წალვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის აღტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ბ. შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები.

ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწოდება, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე.

ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- წვეულებებისა და ღონისძიებების მოწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწოდება;
- 9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;

